

საქართველოს კანონი

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №30(37), 1999 წელი, მუხ. 158) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 38-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² პუნქტი:

„1². ამ კანონის დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, თვითმონიტორინგის მიზნით, აწარმოოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა, ინსტრუმენტული მეთოდით. საქმიანობის სუბიექტის მიერ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობისა და ტემპერატურის განსაზღვრა წარმოებს უშუალოდ მავნე ნივთიერებების გაფრქვევის იმ წყარო(ებ)ზე (მილში), რომლ(ებ)ის მეშვეობითაც ხორციელდება ამ კანონის დანართით გათვალისწინებული საქმიანობა. ატმოსფერულ ჰაერში იმ მავნე ნივთიერებების ნუსხა, რომელთა ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა სავალდებულოა, დგინდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“;

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 50¹ მუხლი:

„**მუხლი 50¹.** საღებავებში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღების პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების გაფრქვევების ზღვრული ნორმები

საღებავებში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღების პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) გაფრქვევების ზღვრული ნორმები დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“;

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი:

„დანართი

ს ა ქ მ ი ა ნ ო ბ ე ბ ი	
1	ნედლი ნავთობის (გარდა საზეთ-საპოხი მასალისა) გადამუშავება
2	10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ექსპლუატაცია

3	თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით.
4	თუჯის ან ფოლადის დნობა პროდუქციის წარმოების მიზნით
5	შავი ლითონის დამუშავება: ლითონის ცხლად დამუშავება, სამჭედლო გრდემლით, დამცავი ლითონის ფენით დაფარვა წელიწადში 50 ტონა ან მეტი წარმადობით
6	ფერადი ლითონის (გარდა ძვირფასი ლითონისა) დნობა წელიწადში 20 ტონა ან მეტი წარმადობით
7	ლითონშემცველი მადნის გამოწვა და აგლომერირება.
8	მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა
9	ძირითადი ორგანული ნაერთების წარმოება
10	ძირითადი არაორგანული ნაერთების წარმოება
11	ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან/და კალიუმოვანი სასუქების მარტივი ან/და რთული წარმოება
12	შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება
13	ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება
14	ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება
15	მინის ან/და მინის პროდუქციის (მათ შორის, მინის ბოჭკოს) წარმოება

მუხლი 2.

საქართველოს მთავრობამ:

ა) 2021 წლის 1 იანვრამდე განსაზღვროს ატმოსფერულ ჰაერში იმ მავნე ნივთიერებების ნუსხა, რომელთა ორგანიზებულ გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა სავალდებულოა;

ბ) 2021 წლის 1 მარტამდე განსაზღვროს საღებავებში, ლაქებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაღების პროდუქციაში ორგანული გამხსნელების გამოყენებით გამოწვეული აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) გაფრქვევების ზღვრული ნორმები.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი